
სოსიანიზმი ქართულ ფეხეზში

სტივენ ფ. ჯონსი

სოციალ-დემოქრატის ევროპული გზა



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 2007

სტივენ ფ. ჯონსის, მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის (*Mount Holyoke College*) რუსულ და ევროპულ კვლევათა პროფესორის, ეს არაჩვეულებრივი წიგნი ორიგინალურად და სახალისოდ მოგვითხრობს უნიკალური სოციალური მოძრაობის შესახებ. ქართული სოციალ-დემოკრატია მსოფლიოში პირველი მარქსისტული მოძრაობა იყო, რომელმაც გლახთა მასობრივი მხარდაჭერა მოიპოვა. მოგვიანებით მსგავსი მოვლენები ჩინეთსა და ვიეტნამშიც გავრცელდა, თუმცა საქართველოს შემთხვევაში ამ მოძრაობას რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პირობებში დემოკრატ-სოციალისტთა ნარმატიული ხელისუფლების დამყარება მოჰყვა. ქართველებმა მოახერხეს სოციალიზმის, დემოკრატიისა და ზომიერი, ტოლერანტული ნაციონალიზმის შერწყმა. საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი მრავალ სასარგებლო გაკვეთილს გვთავაზობს.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

მთარგმნელი:	ხათუნა ჩხეიძე
სამეცნიერო რედაქტორი:	ზაზა აბაშიძე
რედაქტორი:	ნინო ჭიაბრიშვილი
დამკაბადონებელი:	ქეთევან გოგავა

პირველი გამომცემელი *Harvard University Press, 2005*

ინგლისური გამოცემის ყველა უფლებას განკარგავს *President and Fellows of Harvard College, 2005*

წიგნის ორიგინალის დიზაინი ეკუთვნის ტიმ ჯონსს.

გარეკანზე გამოყენებული ფოტო იბეჭდება საქართველოს რესპუბლიკის ფოტო-ფილმების არქივის ნებართვით.

პირველი ქართული გამოცემა 2008

ყველა უფლება დაცულია. (დაუშვებელია წიგნის რომელიმე ნაწილის გამოყენება გამომცემლის ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა კანონით ისჯება.)



წიგნი ითარგმნა ფონდის „ლია საზოგადოება — საქართველო“ ფინანსური ხელშეწყობით

© 2007 ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia Chavchavadze State University

ISBN 978-99940-67-40-4

შ ი ნ ა ა ტ ს ი

წინასიტყვაობა	7
თავი I	
ინტეგრირებული უიტაბრეტი	11
ჟორნალიზმი საქართველოში	11
ჰუმანიზმი	21
მხატვრული საქართველო.....	28
სოციალური დაყოფის საზოგადოება	36
დასკვნა	44
თავი II	
ქართული სტრუქტურის-დემოკრატიის ექსპერიმენტი	46
თეატრული: ქართული ენის პირობები „მშენებლები“	49
ილია ჭავჭავაძე	53
მუხეხი დასი	55
თეატრული და ქართული სოციალ-დემოკრატიის	58
ინტეგრირებული წყობები	58
დასკვნა	66
თავი III	
მესამე დასი	68
მესამე დასი: სათავეები	70
სემინარი	71
პირობები ქართული მახინჯი პირობები	79
კვლევა	89
განხილვა	96
თავი IV	
მშობლივი სახლი	101
მშობლები	103
სამუშაო ძალა და ეთნიკური იდენტობა	111
დედაქალაქის გახიზნა	114
მუშების სამუშაო პირობები	117
პირობები უნდა	121
გაფიცვები	125
სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია	129
დასკვნა	132
თავი V	
განსჯის-დემოკრატიის შინ	134
ორგანიზაციული ეთიკა	135
სამუშაოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პირობების მუხეხი უნდა	140
კონტრაქტი შინ	149
განხილვა და „მენეჯერების“ უნდა საქართველოში	153
დასკვნა	160

თავი VI	
გუბიის ბესპემლიკა	162
მინასთან დაკავშირებული უთიეითობები გუბიაში	166
ამბობების მიზეზები	172
მომხაობა	176
ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ხოლი	178
გუბიის ხესპეზბიკა	182
ბეზების მოთხოვნები	185
ცახისტული პოლიტიკა	188
დასახელი	192
დასვენა	193
თავი VII	
1905 წელი: დამსხვტყელი დცნემემი	207
თბილისი	210
ხევოლეცია და ხესეთ-საქათველოს უთიეითობები	217
მეფისნაცვალი და მისი ადმინისტრაცია	222
ხეფოხმის მახცხი	225
ქართული სოციალ-დემოკრატია 1905 წელს	229
ტხაგედია	239
ოქტომბრის დლეები	242
დასვენა	248
თავი VIII	
ასალბი მიმასტთლეემემი	251
პიხველი დემა	253
ახალი ბიძოლები	258
პახტიული ოხგანიზაცია	262
ხსდმპ	268
სახელმწიფო დემა	279
ეხოვნული საკითხი	286
დასვენა	295
თავი IX	
დმი დს ბყეფლეტისა	297
ომი	299
დამოუკიდებლობა	307
ხევოლეცია	308
საბჭოთა ხელისუფლება	310
მეტოქეები/კანდიდატები	320
პახტიული ცხოვხება	327
მოკავშირეები და მონინაალმდეგეები	332
ბოლო ხამდენიმე კვიხა	340
დასვენა	349
თავი X	
დასვენა	351
მუნიმუნემი	357
ანმანუბდი საბიემელი	414

თავი I

ისტორიული ვითარება

კოლონიური რეჟიმის პირობებში საქართველოსა და მისი რეგიონების განვითარების ისტორიას თუ გადავხედავთ და მის მრავალეთნიკურობასა და სოციალურ დიფერენციაციასაც გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რატომ მოიხიბლნენ სოციალიზმის იდეით როგორც ქვეყნის ისტორიის მცოდნე ერუდიტები, ისე გაუნათლებელი, თითქმის წერა-კითხვის უცოდინარი გლეხები. იმ სულიერი მდგომარეობის შესწავლის გარეშე მე-19 საუკუნის დასასრულისთვის ქართველთა ორივე სოციალური ჯგუფი რომ აღმოჩნდა, ძნელი გასაგები იქნება მათი მხრიდან სოციალიზმის მასიური მხარდაჭერა. ფრანცისკ ასიზელის ბიოგრაფიაში გ. კ. ჩესტერტონი წერდა: „ფრანცისკ ასიზელის ბიოგრაფია მისი დაბადების ფაქტით რომ დამენყო, იგივე იქნებოდა, რომ ყველაზე მთავარი გამომეტოვებინა, ან უფრო მეტიც, საერთოდ არ დამენერა მისი ბიოგრაფია.“¹ ასევეა ამ შემთხვევაშიც — ქართული სოციალ-დემოკრატიის თავისებურებების შეცნობა და მისი წარმატების ახსნა, რაც უმთავრესია ჩვენს კვლევაში, მხოლოდ იმ განსაკუთრებული მემკვიდრეობის კონტექსტში შეიძლება, რომელიც საქართველოს ერგო. მართალია, ისტორიას ხშირად მიმართავენ ხოლმე კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში გასარკვევად, მაგრამ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ჩავწვდეთ იმ მიზეზებს, თუ რატომ გააკეთეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ის არჩევანი, რომელიც გააკეთეს და რომელსაც შედეგად ყველაზე წარმატებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა მოჰყვა რუსეთის იმპერიაში.²

კოლონიალიზმი საქართველოში

დისციპლინირებულ კოლონიის ელიტასა და იმპერიისადმი მტრულად განწყობილ ძალებს შორის უთანასწორო კონფლიქტის აღწერა ბოლო წლებში კოლო-

ნიალიზმის ეპოქის გაცილებით ღრმა ანალიზით შეიცვალა.³ როცა მეცნიერებმა ყურადღება ცენტრიდან პერიფერიაზე გადაიტანეს, მათ თვალწინ დამონებული საზოგადოებრივი ჯგუფების ძალზე დიფერენცირებული სურათი გადაიშალა. მაშინ სახელმწიფოებრივი და იმპერიული იდენტობის შეგრძნება და ეროვნებისა და კლასისადმი ერთგულება ერთმანეთის დაჯახნას ცდილობდა.⁴ ცარიზმმა საქართველოში შექმნა ისეთი იმპერიული საზოგადოება, რომლის ელიტარული ფენები თითქმის ერთხმად აღიარებდნენ საქართველოს პოლიტიკურ მომავალს რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირში.⁵ საქართველოს ელიტა, უკრაინისა და ლატვიის ელიტარული ფენების მსგავსად, არ ანგრევდა ცარისტული „ხალხების ციხის“ კარს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული რეცეპტები ჰქონდათ საქართველოს მომავალთან დაკავშირებით, მაგრამ დამოუკიდებლობას ყველა მათგანი არ გულისხმობდა. სოციალ-დემოკრატები 1918 წლამდე უარყოფდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, რასაც ყველა დანარჩენი ნაციონალისტი იზიარებდა 1917 წლამდე. ეს იყო საქართველოზე თავსდატეხილი უამრავი გამანადგურებელი შემოსევის შედეგი და იმ ახალი იდეების ზეგავლენაც, რომელთა მიხედვით რუსეთს ხელი უნდა შეეწყოს საქართველოში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისთვის. რუსეთი საქართველოს მშვიდობასა და გაევროპელებულ რუსულ ინტელიგენციასთან ურთიერთობას სთავაზობდა. ნოე ჟორდანიას, ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში (და კიდევ სამი ათწლეული საფრანგეთში გადასახლების შემდეგ) ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი წერდა: „მე-19 საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების მუდმივი, შეუჩერებელი წინმსვლელობისა და კულტურული ამაღლების. და ყოველივე ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით აიხსნება ანტირუსული უნიადაგობა ჩვენში“.⁶

ქართველი ინტელიგენციის მიერ იმპერიის საზღვრების აღიარება არ ნიშნავდა ეროვნული უფლებების უგულებელყოფას. ქართველი სოციალ-დემოკრატები, მათი მე-19 საუკუნის ინტელექტუალი წინარმორბედების მსგავსად, „ნაციონალისტები“ იყვნენ. თუმცა, ეს იყო კულტურული ნაციონალიზმი, ავსტრიული სოციალ-დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ნაციონალიზმის მსგავსი, რომელსაც შეეძლო მრავალეთნიკურ დემოკრატიულ სახელმწიფოში აყვავებულიყო.⁷ ქართველი ინტელიგენცია, სოციალ-დემოკრატების ჩათვლით, 1918 წლამდე თვითგამორკვევისთვის იბრძოდა და არა დამოუკიდებლობისთვის. ეს შეიძლებოდა ნაწილობრივ აგვეხსნა იმ დროისთვის გამეფებული სოციალისტური იდეების გავლენით, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო

იმპერიაში მცხოვრები არარუსული ინტელექტური ელიტის ამბივალენტური დამოკიდებულება კოლონიაში ცხოვრებისადმი; რუსეთის მმართველობის დროს დაკარგული „უფლებების“ კომპენსაცია ახლად მოპოვებული, არცთუ უმნიშვნელო შესაძლებლობებით ხდებოდა. ეს გახლდათ განათლების მიღების საშუალება, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და იმპერიის ბრწყინვალეობით ტკობა. როგორც ლინდა ქოლიმ აღნიშნა ბრიტანული იდენტობის შესახებ თავის ნაშრომში, „იმპერიალიზმმა შოტლანდიას შესაძლებლობები მიართვა“.⁸ იგივე შეიძლება ითქვას იმ სიკეთეზე, საქართველომ რომ მიიღო იმპერიალიზმისგან. შოტლანდიელების მსგავსად, ქართველებიც იმპერიის ოფიცერთა ავანგარდში იყვნენ, იმპერიისთვის იბრძოდნენ და იმპერიის გამარჯვებებს იზიარებდნენ.⁹ ქართული ინტელიგენციისთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს ბედი მჭიდროდ იყო რუსეთთან დაკავშირებული. მართალია, რუსეთი საქართველოსთვის „ციხის დარაჯის“ როლს ასრულებდა, მაგრამ ამავე დროს, თავისუფლების მოსაპოვებლად „ციხის კარის“ გასაღებიც იყო. მარქსისტულმა ინტერნაციონალიზმმა დაადასტურა, რომ საქართველოს განთავისუფლება შეუძლებელი იყო თავად რუსეთის განთავისუფლების გარეშე, რაც ქართველებმა ისედაც იცოდნენ საკუთარი გამოცდილებით.

მე-17 საუკუნეში მოსკოვი მნიშვნელოვან ძალად იქცა ჩრდილოეთ ევრაზიის სივრცეში.¹⁰ ქართველი ქრისტიანი მეფეები რუსეთში ეძებდნენ და ოსმალეთის იმპერიისა და სეფიანთა სპარსეთისგან ქვეყნის დაცვას რუსეთთან კავშირში ხედავდნენ. მე-18 საუკუნეში მათ რუსეთს დახმარება გაუწიეს კავკასიაში რამდენიმე ლაშქრობის დროს, მაგრამ რუსებმა ქართველ მეფეებს ზურგი აქციეს იმპერიის უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მიზნების გამო.¹¹ თუმცა, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სათვის ამას ხელი არ შეუშლია, ეკატერინე II დაერწმუნებინა, რომ საქართველოზე რუსეთის პროტექტორატი გაეგრძელებინა. 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის თანახმად, რუსეთმა საქართველოს საგარეო ურთიერთობებზე კონტროლი მოიპოვა, მაგრამ სანაცვლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო მხარდაჭერას შეჰპირდა და საშინაო საქმეების მართვისა და ბაგრატიონთა (ბაგრატიდი) სამეფო დინასტიის მმართველობის გაგრძელების უფლებაც დაუტოვა.¹² ხელშეკრულება არარეალური აღმოჩნდა. 1795 წელს სპარსეთის მბრძანებელმა ალა მაჰმად ხანმა თბილისი აიღო. მართალია, რუსეთის ჯარის დახმარებით ქალაქი დაიბრუნეს, მაგრამ სპარსეთიდან და ჩრდილოეთიდან, კერძოდ, ლეკური ტომებისგან მომდინარე მუდმივი საფრთხე დაცვის იმაზე უფრო მყარ გარანტიებს ითხოვდა, ვიდრე გეორგიევსკის ტრაქტატი სთავაზობდა საქართველოს. ერეკლე II-ის მემკვიდრემ, მეფე გიორგი XII-მ რუსეთის იმპერატორს თხოვნით

მიმართა, რომ მისი სამეფო იმპერიაში გაეერთიანებინა.¹³ ქართლის სამეფო ოჯახი მოელოდა, რომ ის ადგილობრივი მმართველის სტატუსს შეინარჩუნებდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა, როცა პავლე I-მა 1801 წელს მთელი თავისი ახალი კავკასიური საკუთრების ანექსია მოახდინა ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია თხოვნისთვის სამეფო დინასტიის შენარჩუნების შესახებ, ალექსანდრე I-მა, რომელიც მამამისის მკვლელობის შემდეგ, 1801 წელს ავიდა ტახტზე, პავლეს გადაწყვეტილებას ბეჭედი დაუსვა მანიფესტით, რომელმაც „სახელშეკრულებო ურთიერთობები“ ჩაანაცვლა „შემოერთებით“.¹⁴ ბაგრატიონები ქვეყნის მართვას ჩამოაშორეს და სანაცვლოდ რუსეთის დროებითი მმართველობა დაამყარეს. ცარისტული მმართველობა საქართველოში მთელი მომდევნო საუკუნის განმავლობაში სპონტანური იყო, ხან ცენტრალიზაციისკენ იხრებოდა, ხანაც დეცენტრალიზაციისკენ, ხან მოქნილი იყო, ხანაც სრულიად მოუქნელი, ზოგან ერთი იურისდიქცია ვრცელდებოდა, ზოგან სხვა. ს. ფრედერიკ სტარმა შემდეგნაირად დაახასიათა რუსეთის იმპერიული რეჟიმი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში — „ფაქტობრივად შეუზღუდავი ძლაუფლებების მქონე რამდენიმე ათეული პირის კოლექტიური ბიოგრაფია“, კავკასიის მთავარმართველი თუ მეფისნაცვალი რეალურად ავტონომიურ სამთავროს განაგებდა.¹⁵ იმპერიის კურსი, რომელიც სანკტ-პეტერბურგში იგეგმებოდა, ხშირად არათანმიმდევრული იყო, არ არსებობდა ეკონომიკური სტრატეგია. საუკუნის ბოლოსთვის რუსეთის ხარჯებმა კავკასიაში სამჯერ გადააჭარბა შემოსავალს.¹⁶

საქართველოში რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებთან დაკავშირებით დაბნეულობა შეიმჩნეოდა. ჯერ დასავლეთ საქართველოს მხარეებს — იმერეთს, გურიას, სამეგრელოსა და აფხაზეთს — ავტონომია უბოძეს და საკუთარ მეფეებსა თუ მთავრებს ჩააბარეს, ხოლო შემდეგ მიმდევრობით, სამეგრელო 1803 წელს, იმერეთი 1804 წელს, გურია და აფხაზეთი 1810 წელს, სვანეთის ორი რეგიონი (ქვემო და ზემო) კი, შესაბამისად, 1833 და 1840 წელს ვასალებად აქციეს. საბოლოოდ, იმერეთის აჯანყების შემდეგ, 1810 წელს იმერეთის სამეფოს ანექსია მოხდა, ხოლო ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ დანარჩენი მხარეების ნახევრად დამოუკიდებელი არსებობაც სწრაფად დასრულდა, გურიისა უფრო ადრე — 1829 წელს, მოგვიანებით კი სამეგრელოსი (დე ფაქტო) — 1857 წელს, სვანეთისა — 1858-1859 წლებში და აფხაზეთისა — 1864 წელს.¹⁷

საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიის გამგებლობის უდიდესი ნაწილი მთავარმართველის ხელში გადავიდა. 1833 წელს სანკტ-პეტერბურგში ამიერკავკასიის ტერიტორიების მართვის დროებითი სამთავრობო კომიტეტი შეიქმნა (შემოკლებით კავკასიური კომიტეტი), რომელმაც უამრავი ტრანსფორმაცია განიცადა, ხოლო 64 წლის თავად მიხაილ ვორონცოვის მეფისნაცვლად დანიშ-

ვნამდე ორი წლით ადრე, 1842 წელს, შეიქმნა კავკასიის ახალი, ამჯერად მუდმივმოქმედი კომიტეტი.¹⁸ ხშირ შემთხვევაში მეფის გამგებლები კავკასიაში ქედმაღალი და ძლიერი ნებისყოფის პიროვნებები იყვნენ, მაგალითად ბოროდინოს გმირი, გენერალი ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი (1772-1861) და გენერალ-ადიუნტანტი ივანე თეოდორეს ძე პასკევიჩი (1882-1856), ერთ-ერთი იმ მოსამართლეთაგანი, რომლებმაც დეკაბრისტებს სიკვდილი მიუსაჯეს. რეალურად ისინი კავკასიის მთავარმართებლები და მეფის ნაცვლები — გადანყვეტილების მიმღები მთავარი პირები და კავკასიური კოლონიური ყოფა-ცხოვრების სტილის შემქმნელები იყვნენ, თუმცა, როგორც წესი, მათ ისეთ მინისტრებთან უწევდათ მუშაობა, რომლებიც ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებდნენ და არც მათი იმპერატორები გამოირჩეოდნენ მტკიცე ხასიათით.¹⁹

პასკევიჩისა და ერმოლოვის მსგავსი სამხედრო ოპერაციების მოყვარული ავტოკრატი მთავარმართებლები კავკასიას ბევრი არ ჰყოლია.²⁰ იმპერატორის ხელდასხმულებს ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კურსთან დაკავშირებით. გახსნილიყო კავკასია საგარეო ვაჭრობისთვის და ადგილობრივი წარმოება ამუშავებინა, თუ მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებელი მხარე ყოფილიყო, შესაფერისი იყო თუ არა საქართველოსთვის ადგილობრივი მმართველობის არსებული ფორმა და რომელი ენა უნდა ყოფილიყო საქართველოს სკოლებში მთავარი — ეს საკითხები მუდმივი კამათის საგანი იყო. რუს ჩინოვნიკს ვ. ნ. ივანენკოს, როგორც ის მე-20 საუკუნის დასაწყისში წერდა, ვერ გადაეწყვიტა, ევროპული მართვის მეთოდი აერჩია, თუ აზიური.²¹ არცთუ იშვიათად, სხვადასხვაგვარი მეთოდების გამოყენება შედეგად იძლეოდა რუსული და ქართული კანონების ქაოსურ ნაზავს. მაგრამ კავკასიის უკლებლივ ყველა გამგებელს ერთი მიზანი ჰქონდა — ეს კავკასიის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია გახლდათ²², რაც, ყოველ შემთხვევაში 1870-იან წლებამდე მაინც, ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას ან რუსული კულტურის ძალით თავსმოხვევას არ გულისხმობდა. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ რუსული ელიტის ამბივალენტურ დამოკიდებულებას საკუთარი ენისა და კულტურისადმი. რუსეთის მეფეებს ძნელად თუ დავადანაშაულებთ ნაციონალისტური იდეოლოგიის გავრცელებაში ან მის გაძლიერებაში, ამან ხომ საბოლოოდ მათივე ძალაუფლება შეარყია.²³ რუსი გამგებლები იმპერიული რუსეთის (და არა რუსული) ინსტიტუტების, კანონებისა და პრაქტიკის დანერგვას ცდილობდნენ საქართველოში, რაც ქართველთა ცივილიზებას შეუწყობდა ხელს და მათ „რუსეთის იმპერიის კულტურის სივრცეში“ შეიყვანდა.²⁴ კავკასიის

გამგებლები ერთმანეთში ძირითადად იმაზე კამათობდნენ, რა სისწრაფით და რა გზით უნდა წარმართულიყო ეს პროცესი.²⁵

საქმეს ართულებდა ქართული საზოგადოების ეთნიკური და სოციალური ჰეტეროგენულობა და ქართული კანონების ამოუცნობი ბუნება, რაც მართლაც რომ საშინელი სიზმარივით იყო სახელმწიფო ჩინოვნიკისთვის. ფეოდალიზმის ქართული ვარიანტის — ბატონყმობის ურთიერთობები არცთუ მკაცრად რეგულირდებოდა 1705-1708 წლებში კოდიფიცირებული მეფე ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულით. ყველაზე მდიდარ და ძლიერ არისტოკრატებს (თავადებს) შეეძლოთ საკუთრებაში ჰყოლოდათ დაბალი რანგის არისტოკრატები (აზნაურები) და მღვდლებიც, ხოლო ეკლესიას, თავის მხრივ, — აზნაურები. ყმების სულ ცოტა 6 კატეგორია არსებობდა საქართველოში და ყველას შეეძლო სხვა ყმები ჰყოლოდა საკუთრებაში. ანექსიის პერიოდში ქალაქებიც ასეთი სისტემა იყო, რადგან ხელოსანთა უმრავლესობა და ვაჭრები (1803 წელს — 90%) ყმები იყვნენ და მათი გილდიები (ამქრები) მეფეს ემორჩილებოდა.

საქართველოს რთულმა სოციალურმა სისტემამ დიდად განაპირობა კოლონიური რეჟიმისთვის წინააღმდეგობის განწევა და გაართულა მასთან შეგუება. რუსეთის მმართველობას სხვადასხვაგვარი შედეგები მოჰყვა საქართველოს სოციალური და ეთნიკური ჯგუფებისთვის. რუსული კოლონიალიზმი ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის, ეკატერინე მეორის ნათლულის, დრამატურგისა და დიპლომატის, ალექსანდრე გრიბოდოევის სიმამრისთვის, 1804 წელს თავად-აზნაურთა ჩაშლილი აჯანყების შემდეგ მისი გადასახლებით დაიწყო, მაგრამ დასრულდა ბრწყინვალე კარიერით იმპერიის კარზე, იმპერატორის სამსახურში. რუსეთის მმართველობის პირველი სამი ათწლეულის განმავლობაში გატარებულმა ადმინისტრაციულმა რეფორმებმა და რუსი ბიუროკრატებისა და ჩინოვნიკების კორუმპირებულობამ აღაშფოთა ქართველი არისტოკრატები.²⁶ 1810 წელს მეფისადმი გაგზავნილ პეტიციაში ქართველი თავადები წერდნენ: “სასამართლო გადაწყვეტილებები განიმარტება რუსული და ქართული, ვახტანგ მეექვსის დროინდელი კანონებით. კანონთა ამგვარი აღრევა ხელს გვიშლის და საშინლად გვორგუნავს. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, რომ მოგვცეთ მოსამართლეთა არჩევის უფლება, და თუ ისინი მხოლოდ ვახტანგ VI-ის კანონებით იხელმძღვანელებენ, საქმეები წლიდან წლამდე არ გაჭიანურდება და საქმეებსაც ქართულად განიხილავენ“.²⁷

იმ დროს, როცა საბრძნეთში, სერბეთსა და პოლონეთში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო და მომრავლდა საიდუმლო საზოგადოებები, მაგალითად, ფილიკი ეთაირეია (საქართველოსთან ახლოს, ოდესაში დაარსდა) და კარბონარიები (იტალიაში), ახალგაზრდა იდეალისტი თავადების პატარა ჯგუფმა,

რომელსაც უკან არ დაუხევია 1825 წელს დეკაბრისტებისა და 1831 წელს პოლონელების დამარცხებათა გამო, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს შესთავაზა 1832 წლის შეთქმულებაში მიეღო მონაწილეობა. ისინი საქართველოს მონარქიის აღდგენას ისახავდნენ მიზნად.²⁸ შეთქმულება, რომელიც შორეულ მარსელში „ახალი იტალიის“ შექმნის ერთი წლის შემდეგ მომზადდა, რიგით ბოლო გალაშქრება იყო რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ქართველი თავად-აზნაურები ედგნენ სათავეში. პარადოქსია, მაგრამ შეთქმულებამ გამოავლინა, რომ ისტორიის მოკლე, სულ სამი ათეული წლის მონაკვეთში, მიუხედავად იმისა, რომ რუსი მმართველები საქართველოში დაუნდობლად და სასტიკად იქცეოდნენ, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ფენის ბევრ წარმომადგენელს მოესწრო კომფორტულად მორგებოდა რუსეთის მმართველობას. თბილისის საგამოძიებო კომისიისთვის მიცემული ჩვენებებიდან ნათელი ხდება, რომ შეთქმულები რუსული კულტურისა და ინტელექტის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.²⁹ რუსეთის რეჟიმი თავად ჭავჭავაძის გარემოს სამსახურით უზრუნველყოფდა, საკუთარი გლეხებისგან იცავდა (როგორც ეს პოლონურმა შლიახტამ გააკეთა), ეხმარებოდა გადასახადების აკრეფაში, მათ შვილებს სკოლებსა და ისეთ პრესტიჟულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ინვესტირებდა სასწავლებლად, როგორც იყო პაჟთა კორპუსი სანკტ-პეტერბურგში. პირველი ჰოსპიტალიც რუსებმა ააშენეს საქართველოში. „აზიური“, ჩამორჩენილი ქალაქი თბილისი, კარტის თამაშის, ჭიდაობისა და ღვინის სმის გარდა, არც არაფერი რომ ჰქონდა სხვისთვის შესათავაზებელი, გარდაიქმნა ქალაქად, სადაც ქართველი თავად-აზნაურები ევროპულ გაზეთებს კითხულობდნენ, ურთიერთობა ჰქონდათ რუს მწერლებთან და ერუდიტებთან და ფრანგული მოდის მიმდევარი ცოლებით იწონებდნენ თავს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოს დიდებულ წარსულზე ოცნებობდა: „წარსულისა სიცოცხლის ნიაჲო კვლავ დამქროლე და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე“.³⁰ მართალია ის რუსულ სამხედრო ელიტას ეკუთვნოდა და არისტოკრატი, თავადი იყო, მაგრამ ამავდროს ქართველი პოეტიც გახლდათ. ალექსანდრე ჭავჭავაძე გლეხთა აჯანყებების ჩახშობაშიც მონაწილეობდა და რუსეთის ომებშიც ევროპის ქვეყნებთან, თურქეთსა და სპარსეთთან. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ახალგაზრდა თავადი ტამბოვში გადაასახლეს. იოლად ასატანი გადასახლებიდან ნიკოლოზის სპეციალური ნებართვით დროზე ადრე დაბრუნებული გენერალ-ლეიტენანტი ჭავჭავაძე ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის რეჟიმს, მცირე ხანს კი — 1842 წლიდან 1843 წლამდე, სამოქალაქო ადმინისტრაციის უფროსიც იყო კავკასიაში.³¹ ჭავჭავაძე, მისი სოციალური ფენის წევრთა უმეტესობის მსგავსად, კულტურული ნაციონალისტი

იყო, საკუთარი ენის მხურვალე ქომაგი და ქართული ინტერესების დამცველი. მაგრამ ამავედროულად, ის საქართველოში კულტურის განვითარებას, წინსვლასა და საქართველოს ხსნას რუსეთს უკავშირებდა. კომპრომისისა და წინააღმდეგობის ეს უცნაური ნარევი სულაც არ იყო არაბუნებრივი თავად ჭავჭავაძისთვის და მასზე გაცილებით რადიკალური 1860-იანი წლების ქართული ინტელიგენციისთვის. საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება განმტკიცებული იყო მუსულმანური იმპერიებისადმი მორჩილების გამოცდილებით. იონა მეუნარგია, რომელიც სტუდენტობის დროს თბილისის სემინარიიდან გარიცხეს რადიკალური საქციელისთვის, 1874 წელს წერდა: „ყველა ჩვენგანს [სემინარიელებს] კარგად გვესმის, რომ რუსეთის დახმარება ჩვენთვის საციცოხლო მნიშვნელობისაა“, რომ არა რუსეთი, „სპარსეთი და ოსმალთა იმპერია დიდი ხნის წინ ჩაგვყლაპავდნენ“.³² რუსეთის იმპერიას უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოს მისწრაფებები, მაგრამ კავშირები იმდენად მჭიდრო და მრავალმხრივი იყო, რომ მათი განწყვეტის შემთხვევაში საეჭვოა, საქართველოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაღუპვის საფრთხე არ შექმნოდა. ლექსში „კავკასია“ ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოს ბედს ადარებს პრომეთეს, მაგრამ ამავე დროს ახსენებს თავის მკითხველებს, რომ „რუსეთმა გზა გაუხსნა და იმედი ჩაუსახა ივერიელებს, რომ მათ შორის განმანათლებლობა გავრცელდებოდა“.³³

უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ აზნაურებს, რომლებიც ეკონომიკურადაც უფრო სუსტები იყვნენ, ვიდრე თავადები, ასევე ამბივალენტური დამოკიდებულება ჰქონდათ ცარისტული რუსეთისადმი. მათ ეროვნულ გრძნობებს შეურაცხყოფა მიაყენეს, როცა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია ჩამოართვეს 1811 წელს, 1820 წელს ქართველი არქიეპისკოპოსები დააპატიმრეს იმერეთში და 1835 წელს საქართველოს სამეფო ზარაფხანა გააუქმეს, დაბოლოს, როცა ახალი ადმინისტრაციული სისტემის მეშვეობით ქართველები გაძევებულნი აღმოჩნდნენ სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებიდან 1840 წელს. მაგრამ რუსეთის კანონების ძალით აზნაურები განთავისუფლდნენ თავადებზე დამოკიდებულებისგან და 1848 წელს მიწაზე აზნაურთა (არისტოკრატთა) სტატუსის აღიარებას მიაღწიეს. მეფისადმი მიწერილ ოფიციალურ წერილში აზნაურებმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს თავისი დამოკიდებულება: „დღეს ჩვენთან მშვიდობა სუფევს, მშვიდად ვმუშაობთ ჩვენს საქმეებზე, მტრებს ჩვენს მიწა-წყალზე კი არა, მათ მიწაზე ვებრძვი; განათლებას ვაძლევთ ჩვენს შვილებს და მომავალს სიხარულით ვუყურებთ და არა შიშით. ყოველი ჩვენგანი ყოველდღიურ ცხოვრებაში გრძნობს, რა სიკეთე მოგვიტანა დიდი რუსი მბრძანებლის მზრუნველობამ“.³⁴

ქართული გლეხობა დაყოფილი იყო როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურადაც. საქართველოს მეფეთა საკუთრებაში მყოფი ყმები და მოქალაქე-